საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ათენგენობა

ათენგენობა, ქრისტიანული დღესასწაული. დაუწესებიათ III–IV სს. მიჯნაზე წამებული ბერძენი მღვდელთმოძღვრის ათენეგენე (ათინოგენ) სებასტიელის მოსახსენებლად. ა. ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოსა და სომხეთში. განეკუთვნებოდა მოძრავ დღესასწაულთა ციკლს. იმართებოდა ივნის-ივლისში, აღდგომიდან 98-ე დღეს („დღესა ვარდობასა“). ამჟამად შემორჩენილია აღმ. საქართვ. მთაში. ხევსურეთში მას ა-ს ეძახიან, თუშეთში – ათნიგენობას, ზოგან კი იმ ხატის სახელს, სადაც დღეობა იმართება (ლაშარობა, თამარობა, სერობა და ა. შ.). ა. მიჩნეულია თიბვის დაწყების დღესასწაულად. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად მან ნაწილობრივ დაიკავა ძველი წარმართული თიბვა-მკის კეთილდღეობისათვის განკუთვნილი დღეობების ადგილი.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; მ ა კ ა ლ ა თ ი ა მ., მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985.

თ. ოჩიაური